

შინაური საქმეები

№ 29.

ოთხშაბათი, ოქტომბერი 20, 1910 წ.

ცალკე ნომერი ღირს 5 კაპიკათ.

აღრეხი: ქუთაისი „შინაური საქმეების“
რედაქცია.

ყოველკვირეული გაზეთი.

შინაური 1, ქეშმარიტი გზა—მღვდ. ი. ლუკიანოვისა. 2, შეკთომები—ტ. ჯაფარიძისა. 3, საჭიროა თუ არა კაცისათვის რელიგია?—მღ. ლ.სა. 4, ყ-დ. სამღვდლო ლეონიდეს მოგზაურობა გურიაში—№. 5, ახელის უკანასკნელი პასუხის გამო—რედ. 6, წალმაუკულმა, მოთხრობა—კ. წუთისოფელისა. 7, კვირიდამ კვირობამდე 8, სახალხო უნივერსიტეტი—დათიკო ლოლობერიძისა. 9, წერილი რედაქციის მიმართ.

რედაქციისაგან

ვისაც ამ წლის მეორე ნახევრის გაზეთის ფასი არ შემოუტანია, უნდა გამოგზავნოს ერთი მანეთი უპისოთ გაზეთი არ გაეგზავნება. ხოლო ვისაც მეტი აქვს შემოტანილი, მომავალი წლის გაზეთის ფასში ჩათვლება.

ყოველკვირეულ გაზეთი

„შინაური საქმეები“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთალო—ძაჯაოვის შესახვევში № 17) და თფილისში გამომცემელთან სომხის ბაზარში, სიმონიანცის შუშის მაღაზიაში.

წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. და 50 კ.

გაზეთი ღებულთხმს დასაბუქდად. ყთველგვარ განცხადებებს.

ქეშმარიტი გზა.

(დასასრული¹).

II.

ეკლესია, როგორც მცველი ქრისტეს ქეშმარიტებისა.

„სხვაგან არ უნდა ვეძებდეთ ქეშმარიტებას, რომელიც ადვილად საპოვნელია ეკლესიაში. მასში, როგორც მდიდარ საღაროში, მოტიქულებმა შეინახეს ყოველივე ის, რაც ქეშმარიტებას ეკუთვნის; ასე რომ თვითველ მსურველს შეუძლია მიიღოს მისგან სასემელი ცხოვრებისა. იგი არის კარი ცხოვრებისა.“ (წმ. ირინეი).

ამიტომ რელიგიოზურ გარეგნულ

¹) იხ. შინ. საქ. № 28.



წესსაც აქვს დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა. იგი აძლიერებს ჩვენში რელიგიოზურ გრძნობას, ანათლებს ჩვენ აზრს, სწმენდავს ჩვენი გულის შინაგან თვალს, გვშველის ჩვენ რელიგიოზური ცოდნის აღბეჭვდაში და დასსომებაში. რელიგიოზური წესი გვაძლევს ჩვენ კეთილ განწყობილებას, კეთილი საქმისკენ მიმართავს ჩვენ ნებას და მასთან ერთად, როგორც ყოველივე გარეგნული ხელოვნება, იგი გვაგრძნობინებს მაღალ ესტეტიურ სიამოვნებას, აკეთილოვანებს ჩვენ სულს, განაშორებს ჩვენ აზრის თვალს ყოველივე ცუდისაგან, და აღამაღლებს მას ხედავად ქვეშაარტის, სრულის, საუკუნო ღვთაებრივი სიმშვენიერისა. სრულებითაც არ ეწინააღმდეგებიან სახარების სიტყვები ეკლესიის გარეგნულ წესებით მდგომარეობას, რომ თაყვანისცემა ღვთისა უნდა „სულითა და ქვეშაარტით“ (იოან. IV, 13). ეს ყოველივე, სახელდობრ, იმიტომაა, რომ შექმნას და აღზარდოს ჩვენში ისეთი სულიერი თაყვანისცემა, რომლის საშუალებითაც ჩვენ აღვიზრდებით სულიერათა, განვახორციელებთ, რამდენათაც შესაძლებელია, მცნებას ქრისტესას და მიუახლოვდებით იმ უმაღლესი სისრულის იდეალს, რომლისადმიც გვიწოდებს ჩვენ უფალი, როდესაც გვეუბნება: „იყავით თქვენ სრულნი, ვითარცა სრული არს, მამა თქვენი ზეციერი“ (მათ V, 48). ამიტომ რელიგიოზურ გარეგნულ წესებს აქვს მნიშვნელობა არა თავის თავად, არამედ მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც ახვითარებენ ისინი ღვთის თაყვანისცემას სულითა და ქვეშაარტებითა. რელიგიოზური გარეგნული წესი არის არა თვით-მიზანი, არამედ არის საშუალება მიზნისათვის, ესე იგი, სულიერ და ზნეობრივ სრულყოფისათვის, ღმერთთან დაახლოვებისათვის. რა თქმა უნდა, სამართლიანია რომ ქვეშაარტი მსახურება ღვთისა არის მსახურება სულიერი, არის თაყვანისცემა „სულითა და ქვეშაარტებითა,“ რომელზედაც

ამბობს მაცხოვარი. მაგრამ აქ, სახელდობრ, სახარების ამ სიტყვებში უნდა გამოიხატებოდეს უფრო იდეალი, რომელისკენაც უნდა მიისწრაფოდნენ ქრისტეს მორწმუნენი, რომელიც არის მიზანი ჩვენის წოდებისა, ჩვენის ქრისტიანობრივი მსახურებისა. ამაში მდგომარეობს გამოცანაც თვით ეკლესიისა, უფლისაგან და არსებულისა, რომელსაც უნდა აღვზარდოს ჩვენ ნამდვილ ქრისტიანებად, რათა არ ვიყვნეთ ჩვენ ზავშეგებით უგონონი; რათა „ბოროტისათვის ყრმა ვიყვნეთ, ხოლო გონებითა სრულ-ვიყვნეთ“ (აკორინ. 14, 20), ანუ, როგორც სხვა ადგილას ამბობს მოციქული, „რათა ჩვენ ვიყვნეთ ბრძენ კეთილისათვის, და უმანკო ბოროტისათვის“ (რომ. 16, 19). ასეთ მიზნის განსახორციელებლად, სხვა საუკეთესო საშუალებებთან ერთად, ეკლესიას აქვს წესიერი ღვთის მსახურება და სხვა გარეგნული საშუალებანი, რომელთაც საერთოდ, შეიძლება ვუწოდოთ ეკლესიური დისციპლინა. ეკლესიას კარგად ახსოვს და იცის, რომ „ქვეყანა ბოროტებაში სძევს“ (იოან. 5, 19), და რომ ცხოვრების გზაზე კაცს პოელია სხვადასხვა განსაცდელი და ხიფათი. ამიტომ ეკლესია, როგორც მზრუნველი ღვთა, იმნაირათ აწყობს ქრისტიანის ცხოვრებას, რომ, რამდენათაც შეიძლება, იგი განაშორდეს განსაცდელის საშიშროებას, გარემოაქციოს გარეშემორტყმული ცოდვის იერიში და მით უფრო ადვილად მისწვდეს თავის მაღალი წოდების დანიშნულებას. იგი, ეკლესია ყოველ ღონისძიებასა ხმარობს, რომ ჩვენ ბავლე მოციქულის სიტყვებისამებრ, „განვიშორნეთ საქმენი ბნელისანი, და შევიმოსოთ საჭურველი ნათლისა; და ვითარცა ღვთისა შინა, შვენიერად ვიდოდეთ, ნუ სიმღერითა და მთვრალობითა, ნუ საწოლითა და ბილწებითა, ნუ ღდომითა და შურიითა“ (რომ. ევ. 13—14). ეკლესია, — ღებულობს-რა მხედველობაში კაცის ბუნებას სისუსტეს და მის მიდ-

რეკლემას ცოდვისაკენ, — იქცევა შემწედ მორწმუნეთა, როდესაც, მაგალითად, აწესებს დღესასწაულებს, როდესაც მორწმუნეებს მოუწოდებს ლოცვისათვის განსაკუთრებულ საღმრთო ადგილებში (ტაძრებში) და იქ, ავიწყებს-რა დროებით მაინც ქვეყნიურს, აღზრდის და განამტკიცებს მათში რელიგიოზურ მაღალ გრძობებს; საღმრთო მოქმედებებში, სახეებში და საგალობლებში მოუთხოვს მათ ღვთის საკვირველ საქმეებზე, განანათლებს გონებას, აჩვენებს ცხოვრების ქეშმარიტ აზრს და გზას, აკეთილოვანებს და სწმენდავს გულს და აძლევს მიმართულებას ნებას კეთილი საქმეებისკენ. აი ამისა და მიხედვით, წმიდა იოანე ოქროპირი ტაძარს უწოდებს შკოლად, სასწავლებლად კეთილმსახურებისა. „**მოდო, — ამბობს იგი, — არა მხოლოდ კრების დროს, როდესაც არის კითხვა საღმრთო წერილისა, სულიერი მოძღვრება და კრება ღირსთა მათა; არა, ყოველ დროს მოდი აქ ტაძარში, მხოლოდ კარიბჭეში ეკლესიისა, — და ნახავ, რომ თითქოს რაღაც სულიერი ქარი დაპბერავს შენ სულს. ეს იღუმალეა ჩაგინერგავს შიშს და გასწავლის სიბრძნის-მოყვარებას, აღაგზნებს გონებას, დაგავიწყებს მიწიურს, აგიყვანს შენ ქვეყნიდან ზეცას.** თუ ასეთი სასარგებლოა ტაძარში ყოფნა უკრებოთაც-კი, მაშ რანაირ დიდ სარგებლობას მიიღებენ აქ მოსულნი, და რანაირ ზარალს იღებენ აქ არ მყოფნი-მაშინ, როდესაც აქ ყოველ-მხრიდან დაღადებენ წინასწარმეტყველნი, როდესაც მოციქულნი ახარებენ, როდესაც ქრისტე სდგას მლოცველ ხალხთა შორის“ (იოან. ოქროპ. ტ. III, წიგნი I, გვ. 137). ამნაირათ, ჩვენ მივდევართ იმ დასკვნაზე, რომ ეკლესიის ყველა დაწესებულებანი მიმართულნი არიან ჩვენ სულიერ სარგებლობისაკენ, ჩვენ სიკეთისა და ცხოვრებისაკენ. აქ, როგორც ყველა სხვა გარემოებებშიაც, ეკლესია სრულიადაც არ ეწინააღმდეგება და არც შეუძლიან წინა-

აღმდეგობა სახარებისა. პირიქით, მხოლოდ მარტო ეკლესია არის ნამდვილი შეუცდომელი აზხნელი სახარების მოძღვრებისა, იმიტომ რომ იმასთან, როგორც თავის სხელთან, იყოფება თავი მისი, იესო ქრისტე (ეფეს. 1, 22—23; v, 23; კოლას 1, 18), იმიტომ, კიდევ, რომ სული წმიდა, რომელიც ყოველთვის მოქმედებს ეკლესიის ქეშმარიტ მამათა და მოძღვართა მიერ, იფარავს მას ყოველივე შეცდომიდან“ (აღმოსავლეთის პატრიარხების წერ. მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე, წ. 12). გარდა ამისა, ეკლესიაში, რომელიც აღშენებულია საფუძველსა ზედა მოციქულთასა და წინასწარმეტყველთასა, რომლის ქვა-კუთხედათ არის თვით იესო ქრისტე“ (ეფეს. 2, 20), სახარების ნამდვილი ახსნა უზრუნველ-ყოფილია, როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი, მოციქულთა დროიდან მომავალი გარდმოცემით და აღბეჭდილია საერთოდ ეკლესიის ცნებით, რის ძალითაც ერთი არის აღიარებული ქეშმარიტებად, მეორე-კი უარყოფილია. იმიტომ ეკლესია უნდა იყვეს მიჩნეული ნამდვილ ხელმძღვანელად სახარების ქეშმარიტი აზრის ახსნა-განმარტებაში თვითეულმა ჩვენ-განმა უნდა იქონიოს ეკლესიის შეხედულობა სახარების მოძღვრებაზე. და თუ, როგორც ზემოთა ვთქვით, სახარება არის ცხოვრების სახელმძღვანელოდ, საძირკველი, რომელზედაც უნდა დააფუძნოს თვითეულმა ჩვენგანმა თავის არსებობა, — მაშ ეკლესია, როგორც მექონე ქრისტეს ქეშმარიტი სულისა, როგორც შემნახველი ქრისტეს ქეშმარიტებისა, უნდა იყვეს ჩვენთვის ცხოვრებაში იმ გზის მაჩვენებლად, რომლის ჩვენებასაც ვაღივებულნი ვართ მივყევთ, თუ გვინდა მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება სახარების მოძღვრების თანახმად. ასრულება სახარების მცნებებისა და დამორჩილება ეკლესიისა, — აი ორი უმთავრესი კანონი, რომლებიც ყველაზე პირველად უნდა ვიცოდეთ და გვახსოვ-

დეს ჩვენ; აი ის საფუძველნი, რომლებზე-
დაც უნდა აღშენდეს ჩვენი ცხოვრება,
ჩვენი ქვეყნიური პედნიერება და საუკუ-
ნო ცხოვრებაც, და რომლებიც წაშო-
ადგენენ ქრისტიანულ გზას ცხოვრებისას.

მღვდ. იოანე ლუკიანოვი.



შეცთობაჲ.

წასული წლების მოძრაობამ რომ ბევრი
კუდი შედეგი იქონია ცხადია, მაგრამ ისიც
ეკვს გარეშეა, რომ იმ მოძრაობამ დიდი გა-
მოკლილება მოგვცა და გამოკლილება კი, რა
მწარე შემთვევითაც უნდა იყოს მიღებული
მანც სასარგებლოა და საყურადღებო ყველა-
სათვის, ვისაც კი სურს მომავალი წარსულს
და აწმყოზე დაამყაროს. საზოგადო მოძრა-
ობა აღმოცენებული იყო თანამედროვე წეს-
წყობილებით უკმაყოფილებაზე და ამიტომაც
ამხედრდა იგი გაბატონებულ ნაკლებლოვანე-
ბათა წინააღმდეგ იმ განზრახვით, რომ ყოვე-
ლი უწყსოება მოესპო და მის მაგიერ ყოველ-
გან და ყველაფერში წესიერება და რიგიანო-
ბა დაემკვიდრებია. განზრახვა კეთილი იყო,
მოძრაობამ მალე გადაუხვია თავისს პირდაპირ
მიზანს და გზაზე გადამდარმა იმდენათ გამო-
იკვალა სახე, რომ ბოლოს რაღაც უმზგავსო-
ება შეგვჩა ხელში. მოძრაობის ფიზიანომია
ამ კავკასიაშიც შეცვლილი იყო. მოძრაობის
წინაპროლათ და მათ ახლობელ მომხრეთ ვერ
გაერკვიათ მკაფიოთ მიზანი მოქმედებისა და,
როგორც აღმოჩნდა, პროგრამაც არა ჰქონდათ
რიგიანათ შემუშავებული; ამასთანავე აღსანი-
შნავია ის დიდმნიშვნელოვანი გარემოებაც,
რომ მათ აკლდათ ხალხის ფსიხოლოგიის კო-
დნა და ამის გამო ის მუშაობა, რომელიც
მოითხოვდა ხანგრძლივ, ენერგიულ ჯაფას და
ასობით და ათასობით თავგანწირულ შრომას,
მათ უცვბ მოისურვეს შეესრულებიათ და ის,
რაც კალმისა და უტყუარი მახელი ენისა და
გრანობაგონების ხედრია ისტორიაში მათ
ტყვია წამალს მიანდევს და ამგვართ გონე-
ბის მაგიერ წამოასკუპეს, შეგნების მაგიერ ში-
ში, თანხმობის მაგიერ ძალდატანება და სხვა...
დაწვრილებით მოძრაობის ისტორიის გარჩევას
ჩვენ აქ არ შეუდგებით, ამა ისტორია ას-
რულებს როცა 1904—1908 წლებს ასწერს.

მე მსურს მოძრაობის ერთი მხარე აღვნიშნო
და მკითხველს დავანახვო რამდენათ უსაფუძ-
ვლო იყო ეს მხარე.

მოძრაობა ამხედრდა სარწმუნოების, ეკ-
ლესიის და სამღვდელოების წინააღმდეგ. ეს
ამხედრება შემთხვევითი ხასიათისა არ იყო და
აი რატომ.

კავკასიის მოძრაობა ცოტათ თუ ბევრათ
ხელმძღვანელობდა საფრანგეთის რევოლიუ-
ციის პროგრამით და პლანებით. იქ კი არეუ-
ლობის დროს ეკლესიაც და სამღვდელოებაც
რევოლიუციამ მიზანში ამოიღო და მოწინააღ-
მდეგე მხარეთ აღიარა. მიბაძვის კანონის ძა-
ლით კავკასიის რევოლიუციამაც გაიმეორა ეს
და თავის პროგრამაში ეკლესიის დახობა და
სამღვდელოების განადგურებაც შეიტანა. ეს
იყო დიდი შეცდომა და თუთიყუშური წა-
ბაძვა.

საფრანგეთის ისტორიაში და პოლიტი-
კურ ცხოვრებაში ეკლესია მართლა დიდ
როლს თამაშობდა. რომის პაპების პოლი-
ტიკა გრიგორი VII და ინოკენტი III მეო-
ხებით გაბატონებული თუმცა ოფიციალურათ
დაინგრა მე XVI საუკუნეში რეფორმაციის
გავრცელების შემდეგ, მაგრამ პოლიტიკური
ხასიათი კათოლიკების ეკლესიას მანც შერჩა
და ძველი პოლიტიკური ტრადიციებით გა-
ყენილი და იფუთიტების პროგრამით აღ-
ზრდილი სამღვდელო პირები ყოველთვის კლი-
ლობდენ დრო ეშოვათ, რომ მშართველობა
ხელში ეგდოთ და ხალხის ყოველ მხრივ მფლო-
ბელი შექმნილიყვნენ. ამ მხრივ სამღვდელო-
ება ყოველთვის წინ ეღობებოდა და ეჯახე-
ბოდა იმას, ვინც პოლიტიკურ ძალას ეძებდა
მეფე იყო იგი თუ ხალხი ეს სულ ერთი იყო.
ამგვართ პირველი მიზეზი კათოლიკეთა სამ-
ღვდელოების და ხალხს შორის მტრობის გამ-
ჩენი იყო ის გარემოება, რომ პოლიტიკური
უფლებისადმი მისწრაფება მიზნათ ჰქონდა გა-
დაქციული იქაურ სამღვდელოებას და ამ მის-
წრაფებას ყოველთვის, როცა კი საჭირო იყო
ცეცხლითა და მახელით იცავდა. ეს გარემო-
ება ისტორიულათ დამტკიცებული იყო.

გარდა ამისა, კათოლიკეთა საეკლესიო
მწერლობაში პაპების ზედგავლენის ქვეშ მყო-
ფმა ღვთისმეტყველებმა ქრისტიანული მოძ-
ღვრება ცალმხრივ განმარტეს და ქრისტიანო-
ბა, ეს ღვთაებრივი მოძღვრება, ზეციური ცხო-
ვრების მიმდევარი, სასუფველისთვის ხალხის
შემაშადებელი და განსაკუთრებით ადამიანის

სულზე მზრუნავი ძალა, მეცნიერების მოწინააღმდეგეთ დასახეს და ამის გამო ხალხის განათლების კანტროლი ეკლესიას შემოახვიეს თავზე. ამგვარათ მეცნიერების დამცველნი, თავისუფალი სიტყვისა და აზროვნების მიმდევარნი ძალაუნებურათ გადიქცენ ეკლესიის მოწინააღმდეგეთ და სამღვდელოებას ბრძოლა გამოუტხადეს. ამ ბრძოლის შედეგი იყო რომ ბევრმა გავლენიანმა და ნიჭით შესანიშნავმა მოღვაწე მეცნიერმა კათოლიკეთა სამღვდელოება და მათი საეკლესიო მიმართულება ხალხის განათლების ხელშემშლელ და დამბრკოლებელ მიზეზათ აღიარეს და ცხადათ ითხოვედნ ამ მიზეზის მოსპობას. ეს მეორე მიზეზი სამღვდელოების და ხალხის შორის მტრობისა და განხეთქილებისა იყო ის გარემოება, რომ განათლებულმა ნაწილმა სამღვდელოება ბნელ ძალათ იღიარა.

გარდა ამისა, ეკლესია ღარიბთა თავშესაფარი და მშვიერთა ბანაკი კათოლიკეთა ხელში მდიდარ დაწესებულებათ გადიქცა და ეკლესია ნივთიერი სიმდიდრის საუნჯე შეიქნა. სამღვდელოება მდიდარ მემამულეთ გამოვიდა და აქედან ღარიბ, მშვიერ ხალხთა მოწინააღმდეგე ელემენტათ გადიქცა. ეკლესია როგორც სიმდიდრის მექანი და სამღვდელოება, როგორც მსხვილი მიწის მფლობელი, მაკნე წოდებათ იქნა აღიარებული. ეკლესიას ჰქონდა დიდი მამულები. ამ მამულებს მუშაობდა იჯარით გლეხობა, რომელიც ამის გამო იყო ნივთიერათ დამოკიდებული სამღვდელოებისაგან და ვინაიდან სამღვდელოება, როგორც ზევითა ვსთქვით, ცდილობდა პოლიტიკური უფლება მოეპოვებია და გაეფართოვებია, ამიტომ ნივთიერათ დამორჩილებულ მუშათა კლასს თანდათან პოლიტიკურათ იმორჩილებდა. ეს იწვევდა საერო მთავრობის მხრივ ბრძოლას და მსხვილი მემამულეების მხრივ შურსა და მტრობას. აი ამგვარათ მიწათმფლობელობის ნიადაგზე აღმოცენდა ბევრგვარი უთანხმოება სამღვდელოებასა და საერო წოდებას შორის. აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ ქონებრივი ანუ ნივთიერი ინტერესების დაცვამ ხშირათ ისე გაიტაცა სამღვდელოების წევრნი, რომ ისინი ნამდვილი მემამულეები ეგონებოდა ყველას და თუ მათ რაიმე ზრუნვა ეკლესიაზე ჰქონდათ ამას ვეღარ იფიქრებდით. ამგვარათ მეცნიერ მიზეზი სამღვდელოების და ხალხის შორის განხეთქილების ჩამოვარდნისა იყო ქონებრივი მდგომარეობა სამღვდელოებისა და ამ ნიადაგზე აღძრული უკმაყოფილება.

ნებრივი მდგომარეობა სამღვდელოებისა და ამ ნიადაგზე აღძრული უკმაყოფილება.

ეკლესია არის წმიდა დაწესებულება და სამღვდელოება უნდა იყოს მისი საუკეთესო წარმომადგენელი და თვალსაჩინოთ განირჩეოდეს წმინდა ცხოვრებით და მაღალი ზნეობით. ქრისტეს მოძღვრება პირველ ყოვლისა მოითხოვს ყოველი მორწმუნისაგან მაღალ ზნეობას და თუ ვისმესთვის ეს სავალდებულოა, მით უმეტეს სამღვდელოებისთვის, რადგან ეს წოდება ითვლება ქრისტიანული ეკლესიის წარმომადგენელათ. სამღვდელოება უნდა იყოს მაგალითი ხალხისათვის. ეს მოვალეობა კარგათ ესმოდათ პირველი საუკუნოების სასულიერო პირთ და მართლაც ნათელი იყო მათი სახე ხალხის თვალში; მაგრამ მე X საუკუნედან დაწყებული დასავლეთი სამღვდელოების ზნეობრივი ცხოვრება თანდათან დაეცა და მე XIV საუკუნეში ისეთმა ნაკლულევაანებამ იჩინა თავი კათოლიკეთა ეკლესიის მშარბივლობაში და მათი სამღვდელოების ცხოვრებაში, რომ კათოლიკეთა ეკლესიის წესწილებების წინააღმდეგ შეიქნა დიდი მოძრაობა, რომელსაც თავში იოანე გუსსი დაუდგა. ეს მოძრაობა იყო მკაცრი მოსაპართლე კათოლიკეთა სამღვდელოების და ამან გამოიწვია იოანე გუსსის დაწვა. დასწევს გუსსი, მაგრამ მისი ფერფლი გაიბნა მთელ ევროპაში და მოედო მთელ გერმანიას მისი მხილებითი ქადაგება, ამას მოჰყვა რეფორმაცია და ამან ხომ სასებით გამოაშკარავა კათოლიკეთა სამღვდელოების იარები და ისე დასცა მათი ავტორიტეტი ხალხის თვალში, რომ მის აღდგენას გვიან შეიძლებს კათოლიკეთა სამღვდელოება. რეფორმაციის მხილებამ ზნეობრივი მხარე კათოლიკეთა ეკლესიის დაამდაბლა და მის სამღვდელოებას ხალხში სახელი გაუტეხა. ამგვარათ დასუსტდა ზნეობრივი გავლენა ეკლესიისა და სამღვდელოების ხალხზე. სამღვდელოებას ექვის თვალით დაუწყეს ცქერა და თანდათან ფარისევლობის და მატყუარობის ბრალი შესწამეს. ამგვარათ მეოთხე მიზეზი ხალხის და სამღვდელოების გადაჭიდებისა, უკანასკნელის ზნეობრივი სახისდამდაბლება და მისი ავტორიტეტის დაცემა ხალხის თვალში.

სხვა გარემოება რომ არ მივიღოთ მხედველობაში ესენიც კმაროდა, რაცა ვსთქვით იმისთვის, რომ საფრანგეთის სამღვდელოება რეფორმაციის დროს გაეკიცხათ და გაეთახსირებიათ.

ეხლა შევხედოთ, მართლმადიდებელი ეკლესია და კერძოთ საქართველოს ეკლესია და სამღვდლოება მიემგზავსებოდა კათოლიკეთა ეკლესიას და სამღვდლოებას? სრულებითაც არა.

ერთი რომ მართლმადიდებელი ეკლესია უარყოფს არსებითად პოლიტიკური უფლებების ძიებას და სამღვდლოებას არ აკუთვნებს ამ უფლებას. მართლმადიდებელი ეკლესია მტკიცეთ იცავს ქრისტიანულ პრინციპს: „მიეციეთ კვისრისა კვისარსა და ღვთისა ღმერთსა“. საქართველოს ეკლესია და სამღვდლოება, თუ ჩავიხედავთ ისტორიაში, დავრწმუნდებით, რომ არასოდეს არ ებრძოდა არავის პოლიტიკური უფლებისათვის. რაც შეეხება განათლებას, ამ მხრივ ჩვენი ეკლესია დიდათ შესანიშნავია; პირველი განათლება ხალხში ეკლესიიდან გავრცელდა და პირველი მისწავლებლებიც ხალხისა სამღვდლოების წევრები იყვნენ ხარისხის განურჩევლათ. ვინ არ იცის სამშობლო ისტორიიდან, რომ განათლებული სამღვდლო პირები ავრცელებდნენ ხალხში არა მარტო სარწმუნოებას და ქრისტიანულ ზნეობას, არამედ წერა-კითხვას, მსოფლიო ისტორიას და სხვადასხვა პრაქტიკულ სწავლას; რაიმე ტენდენციური მოძღვრება საქართველოს სამღვდლოებას არასოდეს არ დაუცავს. ვინ უარყოფს, არ ვიცი, მე XII საუკუნის სამღვთო ლიტარატურის ღირსებას და მის გავლენას ხალხის განვითარებაზე? პრინციპიალურათ რომ ვილაპარაკოთ საქართველოს ეკლესია და სამღვდლოება ნათელი ძალა იყო და ხალხის კულტურულ ზრდას უწყობდა ხელს და თუ კერძოთ ვისმეს მოქმედებაში ეს არ იხატებოდა ეს რა წოდების ბრალია ან დაწესებულება აქ რა შუაშია? პიროვნება ყველგან და ყველგან გამოჩნდა შეადგენს. საუკეთესო წარმომადგენელი ჩვენი სამღვდლოებისა წასულ საუკუნეში, ნეტარ ხსენებული ვაბრიელი, პირველი დამცველი იყო ხალხის საკეთილდღეო რეფორმებისა და შესანიშნავათ განმარტა განმათავისუფლებელი მანიფესტი ალექსანდრე მე II-სა. ამ განმარტებას კინაღამ საკუთარ სიკაცხლე გადაატანა თან.

რაც შეეხება ნივთიერ მდგომარეობას საქართველოს ეკლესიისას და სამღვდლოებისას, აქაც დიდი განსხვავება იყო. ჩვენი სამღვდლოების ნივთიერ მდგომარეობას შური და მტრობა ხალხში არასოდეს არ გამოუწვევია. ხშირი მაგალითები იყო ისტორიაში, რომ შე-

ძლებული პირები იქით აძლევდნენ ეკლესიას და მის კრებულს უძრავ და მოძრავ ქონებას და აქეთ კი არავის არ წაუერთმევია. საქართველოს ეკლესიას ჰქონდა მამულები, მაგრამ მიწათ მფლობელობის ინტერესების მიმდევარი იგი არასოდეს არ ყოფილა. ამგვარათ საქართველოში ეკლესიასა და ხალხს შორის არ ყოფილა ისეთი ნიადაგი, რომელზედაც უნდა მომხდარიყო მათი შეტაკება. მაგრამ ასეც რომ არ ყოფილიყო, ის ხომ ცხადია, რომ კავკასიაში თუ არაფერი გაუკეთებია სამღვდლოებას ხალხის საკეთილდღეოთ, წახდენით მაინც არა წაუხდენიარა და საზოგადო კულტურული წინსვლელობისთვის ხელი მაინც არ შეუშლია. სამწუხაროთ, ეს ყოველივე დაივიწყა წასული წლების მოძრაობამ და სამღვდლოება ხალხის მტრათ გამოაცხადა და ბნელი ძალის სახელით მონათვლა.

(შემდეგი იქნება)

ბ. ჯაფარიძე.



საჭიროა თუ არა კაცისათვის რელიგია?

რელიგია, ამ სიტყვის სრულის მნიშვნელობით, აღნიშნავს ყოველივე იმას, რაც ეკუთვნის ადამიანის თავისუფალ და ცხოველ დამოკიდებულებას ღმერთთან. რელიგიოზური ხასიათი სძევს ყოველივე იმას, რაც-კი ეკუთვნის ადამიანის ასეთ კავშირს ღმერთთან.

ადამიანის კავშირი ღმერთთან რომ თავისუფალი არ ყოფილიყო, არამედ ყოფილიყო, გამოწვეული რომელიმე აუცილებელი საჭიროებით, განა ასეთი კავშირი ღირსი იქნებოდა ღვთის დიდებისა? განა მონური თაყვანისცემა ღირსი იქნებოდა ღვთისა? რელიგია თანსდევს ადამიანს მთელ მის სიკაცხლეში და მითი აღწევს იგი თავის სიკაცხლის საბოლოო მიზანს. კაცს რომ თავისუფლება არ ჰქონოდა მინიჭებული, განა შეეძლო იმას ეთქვა როდესმე: ბედნიერება, რომლითაც ვტკბები, დამსახურებული მაქვს, იგი შედეგია ჩემის შრომისა, იგი შედეგია მთელი ჩემი სიკაცხლისა, იგი დიდებული და თავისუფალი გამოჩვენებააო? არა, — იძულებითი დამოკიდებუ-

ლება კაცისა ღმერთთან, მოკლებული თავისუფალ ხასიათს, არ არის ღირსი არც ღვთისა, არც მისი გაჩენილი ადამიანისა, რომელიც დაყენებულია ქვეყნის პატრონ-ბატონად.

ქეშმარიტი რელიგია უნდა იყვეს ცხოველი, საქმიანი. იმან უნდა აღგვაძალდოს ჩვენ და გაგვაკეთილოვანოს. თუ-კი ერთობა და კავშირი მაღალ-სულოვან კაცთან ჩვენ გვაძალდებს და გვაუმჯობესებს, მაშ როგორ-ღა დარჩება უნაყოფოდ კავშირა ღმერთთან, რომელიც იღვალა ქეშმარიტებისა, სიყვითისა და სიმშვენიერისა? ყველა დიდი გონების ადამიანებიდან ცნობილია, რომ რელიგია არის მამოძრავებელი ძალა კაცობრიობისა. ციცერონი ამბობს: „omnia religione moventur“ — ყოველივე რელიგიით მოძრავობს.

რელიგია, თავისუფალი და ცხოველი კავშირი კაცისა ღმერთთან, მდგომარეობს გულისა და გონების მიპყრობაში ღვთისადმი, შეკავშირებაში კაცისა ღმერთთან. რელიგია გვიცხადებს ჩვენ ღმერთს, რამდენათაც ეს შესაძლებელია კაცისათვის. იგი პირველად განგვანათლებს ჩვენ, ხოლო შემდეგ მოქმედებს ჩვენს ნებაზე. შეგნებული, ჩვენის გონებით, რელიგიოზური ქეშმარიტება იღებს ორნაირ სახეს — სარწმუნოებისას და ცოდნისას. იგი არ ელვარებს ისე ცხადად, როგორც ადამიანის სხვაგვარი ცოდნა, მაგრამ იგი დაფუძნებულია თვით ღვთის უცილობელ დაქეშმარიტებაზე. ბევრნი უკმაყოფილონი არიან იმით, რომ რელიგიოზურ ქეშმარიტებას თვალსაჩინოება აკლია. მაგრამ, განა სხვაფრივ შეიძლება? რელიგიოზური ქეშმარიტებებს რომ თვალსაჩინოება ჰქონოდათ, — მაშინ რელიგია განა თავისუფალი განწყობილება იქნებოდა კაცისა ღმერთთან? მგაკსად ზიბლიური სვეტისა, რომელიც მიუძღოდა ებრაელებს ღრუბელში და ნათელში, რელიგია უნდა იყვეს ერთის მხრივ, — ბუნდოვანი, რომ იმის მიღება გარჯილობად ჩეთვალოს კაცს; მეორეს მხრივ, — იგი უნდა იყვეს ნათელი, რომ მისი მიღება გონიერული აქტი იყვეს.

გონიერული სარწმუნოება შეადგენს ჩვენთვის პირველ პირობას იმისას, რომ უფრო ნათლად მივწვდეთ და შევიგონოთ რელიგიოზური დოღმა. როდესაც სარწმუნოებამ უკარგულა თავის დანიშნულება, მაშინ დგება ცოდნის რიგი. ადამიანის გინება, სარწმუნოების საშუალებით მოდრეკილი უზენაესის არსების ავტორიტეტის წინაშე, მალდდება და მისწრა-

ფვის დიდ ქეშმარიტებათა მისახვედრად. კაცი ფიქრდება, ეძებს მათ ანალოგიურ ქეშმარიტებაებს ხილულ ქვეყანაში, და ჰპოვებს-რასიხარულით რწმუნდება, რომ ყოველივე რელიგიოზურ დასკვნას ეთანხმება მეცნიერების ფორმულა, როგორც ყველა სხვა მეცნიერება თეოლოგიაც აგრეთვე აკეთებს თავის დასკვებას, სძებნის ლოდიკურ კავშირს ნაპოვნ ქეშმარიტებათა შორის და ამნაირად აღგენს ფართო სინტეზიურ, — ღვთისმეტყველურ მეცნიერებას.

ღვთისმეტყველებას უნდა ექაროს პირველი ადგილი სხვა მეცნიერებათა შორის. ეს, გართლაცა და, უდიდესი მეცნიერებაა; იგი ჰყენს ნათელს ყველა სხვა მეცნიერებას. იგი აძლევს აზრს ყოველივეს, რასაც კი ჰფიქრობს ჩვენი გონება და გრძობს ჩვენი გული. იგი გვიხსნის ჩვენ პირველ დასაბამს ქვეყნიერებისას, მის არსებობის და მის ცხოვრების მიზანს.

„საკვირველია, — ამბობდა ერთი თავისუფლად მოაზრე მწერალი — ბრუდონი, — პოლიტიკის საფუძვლად ყოველთვის არის რელიგია“. მაგრამ უმჯობესი იქნება ასე ვსთქვათ: საკვირველი იქნებოდა, რომ ყველა მეცნიერების საფუძვლად რელიგია არ ყოფილიყო, რადგანაც მხოლოდ მის შემწევნობით ჩვენ ვიგებთ თვით უღრმეს საფუძველს ყოველივე იმისას, რაც-კი არსებობს. იგი შეადგენს საფუძველს, გულს და სიმაღლეს მეცნიერების ყველა გამოკვლევისას. ამნაირათ, თუ კაცობრიულ მეცნიერებებს უნდათ წინსვლა, ისინი უნდა დაემორჩილნენ თეოლოგიას, განათლდნენ მისი სინათლით. ერთმა შესანიშნავმა მწერალმა სთქვა: „რაც უფრო შემუშავებულია თეოლოგიური კითხვები რთმელიმე ქვეყანაში, მით უფრო მომეტებულად განვითარებულია იქ მეცნიერებანი“. აი რითი აიხსნება ის გარემოება, რომ მეცნიერების განვითარებაში ქრისტიანებმა აჯობეს სხვა ხალხებს, და რომ ინდოელები და ჩინელები მათის კმაყოფილი მეცნიერებით ვერასოდეს ვერ დაგვეწვიან ჩვენ. **კოპერნიკი, კეპლერი, დეკარტი, ნიუტონი** და სხვ. — არიან სახარების შვილები. ნეტა რას გვიპასუხებდნენ ახალი მეცნიერი ატეისტები ჩვენს კითხვაზე: რა გააკეთეს იმათ თვით უმთავრესი ბუნებითი მეცნიერებებისთვის, ფილოსოფიის, კრიტიკის, მედიცინის სასარგებლოდ? — ისინი რომ გულწრფელები იყვნენ, უნდა პირდაპირ გამოსტყდნენ, რომ იმათ, არამც თუ არ წასწივს იგინი წინ. არამედ უკან დასწივს რამოდენიმე საუკუნით, რადგანაც იმათ დააშორეს

ეს მეცნიერებანი თეოლოგიას, ამ უმთავრეს მეცნიერებას, რომელსაც უნდა გაენათლებინა იმათთვის გზა.

რელიგია იმის გარდა რომ უცხადებს ჩვენს გონებას ღმერთს—სარწმუნოებისა და ცოდნის სახით, აგრეთვე მოქმედებს ჩვენს გულზედაც და აწარმოებს მას. დიდი გავლენა აქვს ჩვენს ნებაზედაც, რომელიც არის მამოძრავებელი ჩვენის დიდად შემძლებელი ძალისა,— ზიარ-ყოფა მისი ღვთის სიწმინდესთან — ეს, თუმცა ძნელი, მაგრამ ფრიალ საჭირო საქმეა კაცისათვის. რელიგიოზურათ ვახდომა, ღირსეულად თავყვანის-ცემა ღვთისა, გაუმჯობესება, ღვთის მსგავსების მიღება,—ყოველივე ეს მოითხოვს კაცისაგან დაუცხრომელს და დაჟინებულს ბრძოლას გულის და გრძნობათა გაფუჭებულებასთან. რელიგიოზურად კაცი ზდება არა ტემპერამენტით, არა თანდაყოლი მიდრეკილებით, არამედ თავის თავზედ გამარჯვებით. აი ამისთვის არის, რომ რელიგია მიღებულია კეთილ საქმედ, არის ძალა, რომელიც აღძრავს ჩვენში ჩვენის მოვალეობის აღსრულებას ღვთისადმი. ამას ამტკიცებენ აგრეთვე სხვა და სხვა რელიგიები ქვეყნად. ცნობილია, რომ ის ხალხები, რომელთაც არ შეუშუშავებიათ ენერგია ქვეშარტი რელიგიის მოვალეობათა შესრულებისა, იგონებდნენ თავიანთ მოვალეობისთვის მსუბუქს, მაგრამ შემცდარ, რელიგიოზურ კულტებს. ამითი აიხსნება აგრეთვე ფაქტი—ურწმუნოება,—ეს სრული განყოფილება კაცისა ღვთისაგან. ურწმუნონი სცილილობენ აიკლინონ თავიდან ქრისტეს უღელს; იმათ არ უნდათ რითმე შეიწუხონ თავი, არა სურთ ალაგმონ თავიანთი ცოდვითი მიდრეკილებანი.

საჭიროა შევიგნოთ რა არის რელიგია, გავარჩიოთ ზოგიერთი მისი თვისებანი.

უხილავი კავშირი კაცის სულისა ღმერთთან. თავყვანისცემა მისი, გამოცხადება მისდამი სიყვარულის და მადლობისა,—ყოველივე ეს შეადგენს შინაგან კულტს რელიგიისას. ხოლო ამ გრძნობათა გარეთ გამოცხადება შეადგენს გარეგან კულტს რელიგიისას. ანასთან ჩვენ უნდა გავიგოთ, რა არის რელიგია ბუნებითი და რა არის რელიგია ზესთა-ბუნებითი. თანამედროვე კრუბრძენები აბნელებენ ამ კითხვას. ისინი აღიარებენ მხოლოდ ბუნებითს რელიგიას; იმათ ჰგონიათ, რომ იგი მთლად აკმაყოფილებს ადამიანს, და რომ ზესთა-ბუნებითი — შეუძლებელია.

ავრცელებენ-რა ამ ცრუ სწავლას, იმათ არ იციან, ან განგებ აჩვენებენ უცოდინარად თავს, რა უნდა ვიგულისხმოთ ზესთაბუნებითი რელიგიის სახელით.

ი. ლუკიანოვი.

(შემდეგი იქნება).



უ-დ სამღვდლო ლომილეს მოგზა-ურობა გურიანში.

გაგრძელება¹⁾

ს. მაკვანეთის ეკლესია ახალი აშენებულია; იგი უკუერთებია აწინდელ იმერეთის ეპისკოპოსს უ-დ. სამღვდლო გიორგის, ეკლესია თლილი ქვისაა, საჭირო სამკაულები ყველა მოებოვება და ეზოც სუფთად აქვს შემორაგული. უნდა აღვნიშნოთ, რომ გურიის ეკლესიები სისუფთავით და მოხდენილობით დიდათ ჩამორჩენილან იმერეთის ეკლესიებს. მიუხედავად საგრძნობელი სიცივისა, ხალხი მაინც შეკრებულები ეკლესიაში. უ-დ სამღვდლომ მადლობა გადაუხადა მრევლს, რომ დიდი ხარჯი გაგიწევიათ, ძვირფასი ტაძარი აგიშენებიათ და სუფთათ ინახავთ მის ეზოსაო. მაგრამ ეს ტაძარი მაშინ იქნება თქვენთვის გამოსადეგი თუ დაუზარებლად ივლით წირვა-ლოცვაზე და გვეყარებათ ერთმანეთი ქრისტეს ერთგულებისა და პატივისცემისათვისო.

ადგილობრივ მღვდელს თავისი ღვთისნიერი ცხოვრებით და დავალებული სამსახურის დაუზარებლად შესრულების გამო საკმაო გავლენა დაუმსახურებია სამრევლოში.

აქედამ მისი მეუფება წავიდა ოზურგეთის საბლალოჩინო ოლქის უკანასკნელ სოფელ კვირიკეთში. კვირიკეთის ეკლესია ქვიტიკირისაა და აშენებულია წწ. მოწამეთა კვირიკე და ივლიტეს სახელებზე. ეკლესია მეტათ ღარიბათაა გაწყობილი: კანკელის ადგილი უჭირავს უბრძლო ფიცრის დარბაზს, ამ დარბაზზე რამდენიმე რუსული უბრალო ქალაქის ხატია ჩამოკიდებული, ტაძრის ხატი ჯვარის სახეთაა გაკეთებული, მაგრამ ძრიელ დაძველებულია; ეს არის და ეს, მეტი ეკლესიაში არა მოიპოვებარა, თუ სახეში არ მივიღებთ **მიცვალებულების გვირგვინებს**, რომ-

¹⁾ იხ. „შინ. საქ.“ № 28.

ლებითაც დაფარულია ეკლესიის ოთხივე კედლები. რა თქმა უნდა ეკლესია ეპისკოპოსზე არ მოახდენდა სასურველ შთაბეჭდილებას. მისმა მეუღლებამ ხალხს მიმართა შემდეგი სიტყვით:

თუმცა თქვენი ეკლესია აშენებულია წმიდათა კვირიკე და ივლიტეს სახელზე და თვით თქვენი სოფელიც ამ წმინდანების სახელს ატარებს, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ბევრს თქვენგანს არ გაუგონია, ვინ იყვნენ კვირიკა და ივლიტა და რითი გაითქვეს მათ სახელი.

ივლიტა იყო მდიდარი და დიდებული კაცის ქალიშვილი, ის სულ ახალგაზდაობაში დაქვრივდა და დარჩა ერთად ერთი ძუძუთა ვაჟიშვილი კვირიკე. ივლიტა დიდად სწუხდა ქმრის დაკარგვას, მაგრამ დროს განმამავლობაში თანდათან გამონელდა მას მწუხარება, ბოლოს დამშვიდდა კიდევ და გადასწყვიტა: მე ვიცხოვრებ ჩემი შვილისთვის, ჩემ პატარა კვირიკეს შევწირავ თავს, ამას უპატრონებ, ამას გამოვიყვან სახელოვან ქრისტიანედ და ეს იქნება ჩემი ნუგეშო. ამ ფიქრებში იყო გართული ივლიტა, რომ თავს დაატყდა საშინელი უბედურება: გამოიცა მეფისგან ბრძანება—ქრისტიანებმა კერბთ თავყანის მცემლობა მიიღონ და ვინც ამას არ იზამს, მას სიკვდილიო.

იკონიაში, სადაც ივლიტა სახლობდა, დაუწყეს ქრისტიანებს დევნა და ჭლეტა; დიდხანს იძალდებოდა ივლიტა და არავის უშუღავნებდა თავის ქრისტიანობას, მაგრამ ბოლოს შეუძლო გახდა ასე ცხოვრება. წ. ივლიტას ეშინოდა ვაითუ, როგორც სუსტმა და უძლურმა დედაკაცმა, ვერ ავიტანო წვალებათა სიმწარე და ნება უნებლიეთ უარი მათქმევიწონ ჩემს მაცხოვარზეო. ამიტომ მან გადაწყვიტა ფარულად გაქცევა იკონიიდან. ხელი აიღო სიმდიდრეზე, სახლებზე, ყმებზე, და მარტო ორი ერთგული მოსამსახურე ქალის ხლებით გაიპარა თავისი შვილით სელევკიაში. ყველასაგან უცნობმა ივლიტამ იწყო ცხოვრება ახალ ქალაქში თავის პატარა ვაჟით, როგორც ლატაკმა მათხოვარმა ქალმა. საუბედუროდ, ვერც სელევკიაში ჰპოვა ივლიტამ მშვიდობიანობა. იქ უმფროსობდა ვინმე ალექსანდრე, რომელიც მუსრს ავლებდა ყველა ქრისტიანებს; ივლიტა იძულებული შეიქნა აქედამაც გაქცეულიყო და დასახლდა ქ. ტარსის სულ მივარდნილ და ღარიბ უბანში. ტარსში კარგა ხან მყუდრო იქნა სუ-

ფედა, არაფერი არა ისმოდარა დევნაზე. მაგრამ ზემო აღნიშნულმა ალექსანდრემ ახლა ტარსი გაიხსენა და იქ გადაიტანა თავისი მოქმედება. სულ მოკლე ხანში ტარსის ქუჩები შეიღება ქრისტიანების სისხლით გამცემლებმა დააბეზლეს წ. ივლიტა, ალექსანდრესთან. ალექსანდრემ ბრძანა: სიქარით მომგვარეთ აქ ივლიტაო, თვალის დახამხამებაში წარუდგინეს მბრძანებელს წ. ივლიტა (თავის) მისი სამის წლის ყრმით, კვირიკეთი ხელში.

ვინახარ და რა გქვიან შენ? სასტიკით შევეითხა ივლიტას ალექსანდრე. „მე ვარ ქრისტიანი“—ო იყო პასუხი. „ქრისტიანიო“?! ნადირივით დაიღრიალა გარისხებულმა ალექსანდრემ, და უბრძანა მხლებლებს მათრახებით გვემა დედაკაცისა. ამ სურათის შემცქერალი ბავშვი შიშის ზარმა აიტაცა, გულ მოსაკლავით გასწიოდა და, რაც ძალი შესწევდა, დედის კალთას ეკროდა.

კვირიკე მოეწონა სილამაზით გამხეცებულ ალექსანდრეს, უბრძანა მხახურებს ბავშვი მე მომიყვანეთო, კალთაში ჩაისვა, ალერსი დაუწყაო და უნდოდა გაეჩუმებინა, მაგრამ დედის სხეულზე უწყალოდ დარტყმული მათრახები შანთივით ხვდებოდა საბრალო შვილს, იგი ვერ ამჩნევდა ალექსანდრეს ალერსს, მიიწევდა დედისაკენ და გაიძახოდა მეც ქრისტიანი ვარ, გამიშვიტ დედასთანაო. ბრაზ-მორეულმა ალექსანდრემ ბავშვი კვახივით დანარცხა ქვის იატაკზე, მერე ფეხი ჰკრა და გადმოაგდო უშველებელი მადლობიდან ძირს. კვირიკეს მწყერივით სული გასძვრა. ივლიტამ მხურვალე მადლობა შესწირა ღმერთს, რომ მისი შვილი ღირსი გახდა ქრისტეს სახელისათვის მოწამეობის გვირგვინის მიღებისა.

რადგანაც ცემით ვერას გახდნენ, ალექსანდრემ უბრძანა, რომ ივლიტა ჩამოეკიდათ ხეზე და რკინის საურველით ეუხობათ მისი სხეული, მაგრამ ვერც ამითი გახდნენ რასმეს, ივლიტა მაინც ქრისტეს აღიდებდა და კერპებსა გმობდა.

ბოლოს ალექსანდრემ უბრძანა ივლიტასათვის თავის მოკვეთა. ივლიტა სიხარულით მიეგება ჯალათების გადაწყვეტილებას, მადლობა შესწირა უფალსა და იქმნა თავ-მოკვეთილ. ასეთია მოკლედ წმინდა ივლიტასი და და კვირიკეს ცხოვრება.

რალა ვთქვათ ჩვენ? რალა მიუმატოთ ამ სანატრელი დედა და შვილის ზეციურ გვირგინს?

ჩვენი თქმულება უძღურია, ჩვენგან დიდების შესხმა მათთვის ამაოა, ჩვენგან მათდამი მირთმეული ძღვენი ფუჭი და წარმავალია. მათ თავს ადგიათ შოწამებრივი გვირგვინი და, გარეშე ამ ბედნიერებისა, მათ ჩვენგან აღარა უნდათ რა და აღარასა ვვთხოვენ. ივინი ზრუნავენ მხოლოდ ჩვენთვის, მათ მხოლოდ ჩვენი სიკეთე სწყურიათ, მხოლოდ ის უნდათ, რომ ჩვენც მათ მსგავსად შევიყვაროთ მაცხოვარი და საჭირო დროს თავი დავსდვათ ჩვენი სარწმუნოებისთვის. ჩვენს ძველებს, ჩვენს მამა პაპას დიდი სიყვარული ჰქონდათ კვირიკე და ივლიტასი.

საქართველოს თვითვეულ კუთხეში უეჭველად იპოვით ხსენებული წმინდანების სახელზე აგებულ-ტაძრებს, იშვითია, რომ ჩვენს ღარიბ ეკლესიებში არ მოიპოვებოდეს კვირიკე და ივლიტას ხატი აქ, და ბევრგან სხვაგანაც, სოფლებსაც კი ამ წმინდანების სახელი მიუთვისებიათ და ივლისი ანუ მკათათვე ხომ ცნობილია ჩვენში კვირიკობის თვედ? საქართველოში ქრისტიანობას მუდამ ჟამს სდევნიდნენ და ავიწროებდნენ მაჰმადიანნი: არაბები, თურქები, სპარსები და სხვები; ქრისტიანობა ყოველთვის მოითხოვდა ქართველებისაგან თავ-დადებულობას და აი სწორეთ იმ აზრით, რომ ქართველის გულში განვითარებულიყო, ფესვები გაეღვა, მოქმედ ძალად გამხდარიყო და დამახასიათებელ თვისებად გადაქცეულიყო სარწმუნოებისათვის თავდადებულობა, იმ განზრახვით, რომ ქართველს ყოველთვის თვალწინ ჰქონოდა წასაბაძი მაგალითი ქრისტიანობის ერთგულობისა, ჩვენს მამა-პაპას გუნდიდან ყველაზე მეტად შეუყვარებიათ კვირიკა და ივლიტა, ეს წმინდანები, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაუსაკუთრებიათ, ეროვნულ მცველებად უცვნიათ.

ესლა ოსმალები და სპარსელები აღარ ანგრევენ ჩვენში ტაძრებს და აღარ სდევნიან ქრისტიანობას, მაგრამ სარწმუნოებას უარესი დღე ადგია, მაჰმადიანობაზე უსაშინელეს მტრებად, მოძულედ და მღვენელებად ქრისტიანობას გაუხდნენ თავისიანები, შინაურები, ოდესმე მონათლულები და მირონ-ცხებულები, ჩვენივე ძმები და ჩვენივე შვილები, ჩვენივე მეზობლები და მოკეთეები ძალას გვატანენ, სიკვდილს გვემუქრებიან, თუ სარწმუნოება არ დავივიწყეთ, ღმერთი არა ვგმეთ და ქრისტეს არ გადაუდგქით.

დღესაა გამოსაჩენი სარწმუნოებრივი სი-

მტკიცე, დღესა აქვს ფასი და მნიშვნელობა ქრისტესთვის თავ-დადებულობას; ახლა არიან საჭირონი კვირიკე და ივლიტას მსგავსი აღამიანები, ახლაა საჭირო განსაკუთრებით ჩვენში, -თუ მართლა მამა პაპა გვიყვარს და მათს სახელს ვაფასებთ, წავბაძოთ მათ სულიერ მხნეობას და ან შევინარჩუნოთ ქრისტიანობა, ან მას განაცვალოთ მთელი ჩვენი სიცოცხლე ნუ დაგავიწყდებათ, რისთვისაც თქვენი სოფელი და ეკლესია ატარებენ წმიდათა კვირიკე და ივლიტას სახელს!

სიტყვის შემდეგ მრევლს დაავალა ეკლესიის შემკობა საჭირო ნივთებით.

მერე ხალხმა სთხოვა მის მეუფებას: ამოდენა სოფელში არავითარი სასწავლებელი არ არის და გთხოვთ სამრევლო სკოლა დაგვიარსოთო. ამ სოფელში სემენარიელი მღვდელია და ებისკოპოსს გაუკვირდა, რომ მას აქამდე არ გაუხსნია სასწავლებელი იშოვეთ სახლი მოაწყეთ სამოსწავლო ავეჯულობით და სწავლებას თქვენს მოძღვარს დავავალებო, უპასუხა მთხოვნელებს მღვდელმთავარმა..

მარწმუნით ამ დღეს დასათვალისწინებელი დაგვჩა კიდევ ორი ეკლესია: ბოხვაურისა და ქალისა: ბოხვაურის ეკლესია ხისაა, შიგნით მოწყობილობას არა უშავსრა, საჭიროა მხოლოდ გარედამ ირგვლივ აივანი და შეღებვა კედლებისა.

ქალის ეკლესიაში რომ მოზრძანდა უკვე საღამოს ექვსი საათი იყო. მიუხედავად იმისა, რომ დამდებოდა და გვიანდა იყო, ხალხი მაინც ბევრი დაუხვდა; ქალის ეკლესია თლილი ქვისაა, იგი აუშენებიათ ამ რამდენიმე წლის წინათ და შიგნიდანაც მშვენივრათ გაუწყვიათ, ამ ეკლესიას კანკელი და ხატები, არამცთუ სოფლის ეკლესიას, რომელიმე დიდი ქალაქის ტაძარსაც კი დამშვენებდა. კანკელი კაკლის გულისაა, და შიგ მოხდენილი ხელოვნების მოოქრული ხატები ასვენია. ებისკოპოსმა დალოცა მრევლი; ხარჯი არ დაგიზოგავთ და თქვენი სოფელი დაგიშვენებით ძვირფასი ტაძრითო, მაგრამ, როგორც ტაძრის დასავლეთი კედელი მოწმობს, ბოლო აღარ მიგიდევნებიათ ამ საშვილიშვილო საქმისათვის, დაწყებული სამრეკლო აღარ დაგიმთავრებიათ და ამის გამო ლამის ასეთი ძვირფასი ეკლესია ნოტიობისგან დაგექცეთ. ნუ იზამთ ასეთ სათაკილო საქმეს; ბევრი ვიწრო-შიათ სულო ცოტაზე უკან ნუ დაიწვეთ და ამ-

ასღმერთი დაგიმადლით და ჩამომავლობაცაო.
ყ-დ სამღვდლო მიიწვია ადგილობრივმა
მღვდელმა შამა არსენ საბაშვილმა. ეს მღვდე-
ლი სასწავლებელში ირა ყოფილა, მაგრამ
მრევლის სიყვარული დაუმსახურებია და ყვე-
ლაფერს უჯერიან მას.

15 მარტს მთები ჩამოთოვა, დაბლობში
წვიმა და ციოდა. ამ დღეს განზრახული იყო
დუბაზუს, ქვედა ბახვის, ზედა ბახვის, ფამფა-
რეთის და ვაკისჯვრის ეკლესიების ნახვა,
დუბაზუს ქვიტკრის ეკლესია საკმაოდ
მოზრდილია და შესაფერათაა მოწყობილი.
სხენებული ეკლესია თითქმის წელიწდიან
უმღვდლოთ არის დარჩომილი. ეს გამოიწვია
იმ სამწუხარო გარემოებამ, რომ ერთმა მრევლ-
თაგანმა, მამულაიშვილმა, თოფი ესროლა მრევ-
ლის მღვდელს ი. ლ-ტს. ამბობენ ეს მამულაი-
შვილი ეკლესიაში ქუდით იდგა და პაპიროზს
ეწეოდაო იმდროს, როდესაც მღვდელი ჯე-
რის წერას ასრულებდაო. მღვდელმა შენიშ-
ვნა მისცა და ფიცხლად აუკრძალა მას პაპი-
როზის მოწვევა; მამულაშვილმა იწყინა მღვდ-
ლის შენაშენა, თავისუფლებას მიზღუდავს
მღვდელი და თოფი ესროლა მას. მღვდელი
თუმცა მძიმეთ იქნა დაქრილი, მაგრამ სიკვდილს
მინც გადურჩა. მამულაშვილი იმ დღიდან
ფარულად (ყაჩაღად) გავარდა და მოკვლას
ეკადის სხენებულ მღვდელსა. ყ-დ სამღვდლო
შეეხო ამ სამწუხარო შემთხვევას და მშვენი-
ერი დარიგება მისცა ხალხს.

№

(შემდეგი იქნება).



ბ. ახელის უკანასკნელ პასუხის ბამო.

როცა პირველ პასუხს ვსწერდით, ვფიქ-
რობდით, საქმე კრიტიკოსთან გექონდა და
ესლა კი ეხედავთ, რომ კიტრანას ვახლავართ.
სიიდან მოიგონა ბ. ახელმა, რომ ჩვენ თავი
უცოდველ პაპათ მიგვაჩნია, ან კიდევ მოღვა-
წეთ, რაც თურმე „თბილისში არავისა სწამს“,
ან კიდევ უნაკლულოთ? ასეთი თავის ქება
კიტრანას საქმეა, რაც ცხადათა სჩანს მისი
უკანასკნელი პასუხისაგან; იგი ენას გვიწუნებს
უთუოთ იმიტომ, რომ თავის ნაწერები ქარ-
თული სტილისტიკის მარგალიტებად მიაჩნია.
მაგრამ სტყუებდა ბ. ახელი, როგორც ყოვე-

ლი მკვებარა: მისი ენა ისეთივე უძლოურია,
როგორც ჩვენი, როგორც ყველასი, — ვაგბე-
დავთ და ვიტყვიო. ამაზე ლაპარაკი მტრია და
თუ ბ. ახელი სიტყვის ბარაკისათვის ლაპარა-
კობს, მან იკის, ეს ხომ მისი ხელობაა — ლა-
პარაკისთვის ლაპარაკი.

ჩვენ გვეგონა ბ. ახელი რაიმე არსებით შენი-
შენას მოგვეცემდა, რომელსაც, ვეცდებოდით,
გამოგვეყენებია, მან კი თვალში ნაკარ-ტუტა
მოგვაყარა, კიტრანასავით დაკეთხუნა: რო-
გორ ვაბედე „სიტყვის“ აუგი სთქვი და გო-
მართელი ავად მოიხსენიეო.

გომართელი თუ კეთილი მოღვაწეა, თქვენ
გყავდესთ, ბ. ახელო. ჩვენ არ გეცილებით და
არც ქეიფი გვაქვს მაგგვარი მოღვაწის თა-
ყვანისცემისა. ჩვენ, როგორც ქრისტიანს, სა-
თაყვანო მოღვაწეთ არ მიგვაჩნია ისპირი, ვინც
ქრისტეს გვიგინებს, სარწმუნოებას გვიბლა-
ლავს და ახალ-თაობას გვირყვნის. ჩვენ სათა-
ყვანო მოღვაწეთ ვერ მივიჩნევთ იმ პირს,
რომელმაც მაცხოვარი ბუშად აღიარა, ქალ-
წული შარიამი როსკობად, ღმერთი კაცის გა-
ჩენილად, რომელმაც კანტ-ლაპლასის თეორია
უცილობელ ქეშპარიტებად გადასცა ბალღებს
და თან დასძინა: ნურაყინ მოგატყუებთ,
არავითარი ღმერთი გამჩენი ცისა და ქვეყანისა
არ არსებობს, დედამიწა მზის ნაგლეჯია და
ადამიანები ცილეულების ნაწარმოებო; რო-
მელიც თავის აბდაუბდა ლექციაში, — „სული
და ტვინი,“ უარყოფს სულის არსებობას და
მაშასადამე ადამიანის სულიერ უკვდავებას და,
ვითომ ქეშპარიტების მპყრობელი, მედიდურად
დაცინის სამღვდლოებას, ვითომ სულის
უკვდავება მას მოგვონებოს თავის მიზნების
მისახწევათ. სჩანს ბ. ახელი დიდი ათეისტი
ბრძანებულა, რომ ასე ეთაყვანება ბ. გომარ-
თელს, სჩანს თითონაც თანაზიარია გომართე-
ლის მიმართულებისა და რაღა დავგრჩენია მის
მეტე, რომ მიულოცოთ ბ. გომართელს ასეთი თა-
ნამოაზრე მოღვაწის შეძენა. ბ. გომართელი ჩვენ,
შეიძლება, სხვა მხრივაც არ მოგვწონდეს, მაგრამ
ამისთვის ბოდიშს არ მოვიხდით ბ. ახელის წი-
ნაზე, და თუ ოდესმე დაგვჭირდა ჩვენი აზრის
გამოთქმა პირუთვნელად და გულწრფელად

აღვიარებთ ყოველივეს, მიუხედავად ბ. ახელის გულისწყრომისა.

რაც შეეხება გავ. „სიტყვას“, ესეც სავესებით ბ. ახელისთვის დამკვირვებია, თუ მოსწონს და „სიამოვნებით ათვალისწინებს“. დიდი „ტვირთის“ განმავითარებელი არაფერი ჰყრია შიგ, ხოლო საფრთხობელათ, კაი დაგმართოს, კაი საქნელი იყო თავის დროზე. ასეთი გაზეთი თუ ანტირესებს ბ. ახელს, არც ამაზე ვეცილებით, „ყოველ საქონელს თავის ვაჭარი ჰყავს,“—ვიტყვით მისივე სიტყვით. ფსევდონიმი „ახელი“ ჩემთვის უცხოა: მე არ ვიცი, ვინ იმალება ამ ფსევდონიმ ქვეშ. ამიტომაც არ შემძლია დანამდვილებით ვსთქვა. ვთხოვეთ თუ არა მას თანამშრომლობა. საზოგადოთ, როცა გაზეთის გამოცემის საქმეს შეუდევით ორ გამოჩენილ აკადემიელ დეკანოზს მივმართეთ თბილისში და, არა თუ ვთხოვეთ, შევეციოხეთ, ხომ არ. ისურვებდნენ თანამშრომლობას. ერთმა მათგანმა გვითხრა: „იმდენი საქმე მაქვს, წერა კი არა გაზეთების კითხვას ვერ ვასწრებო“, მაგრამ დღემდე რამდენიმე წერილი მაინც გამოგვიგზავნა; მეორე დიდის სიამოვნებით დაგვთანხმდა თანამშრომლობაზე, მაგრამ ერთი ახალი ამბავიც არ შეუიტყობინებია. გვიბრდებოდა თბილისელ სამღვდლოებს გაეჩოთქავ და ყურებს ვაცქვეტინებო, მაგრამ ყოველივე დასაბრუნებელი ტყუილი გამოდგა, და, არა თუ სხვას აცქვეტინა, თითონაც კი დაუშვა ყურები. რომელ ამ ორ დეკანოზთაგანს ვკუთვნის ფსევდონიმი „ახელი“, არ ვიცი, ხოლო თუ „ახელი“ ვინმე საერო პირია, ან სასულიერო, ამ ორ დეკანოზს გარდა, საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ სტყუის, როცა ბრძანებს, რომ ჩვენ მას თანამშრომლობა ვსთხოვეთ; და თუ არ სტყუის დაკვირვებულს საბუთებით; თუ ასეთი დამტკიცება არ წარმოადგინა და არც ხსენებულმა დეკანოზებმა ხმა ამოიღეს, დარწმუნებული ვიქნებით, რომ „ახელი“ არის ერთ-ერთი ამ დეკანოზთაგანი და მაშინ დავეთანხმებით ბ. ახელს, რომ იგი ვერ გვიცენია და ანაფორას შეუტყდენივართ, ხოლო თუ გვეცნო, რომ იგი გომართელის ღვთისმეტყველების თაყვანის მცემელი იყო, ახლოსაც არ გავეკარებოდით, როგორც შხამით გატენილ „კიტრანას“.

ახელი უფლებას იტოვებს „აღნიშნოს ის მავნებელი მიმართულება, რომელსაც ადგია ჩვენი „ეგრედ წოდებული „გაზეთი“; რადგან ასე ყვარებია უფლებები, ჩვენ კიდევ მეორე

უფლებით შევმოსავთ: დაამტკიცოს, რომ ჩვენი გაზეთი მიმართულებით „კოლოკოლი“, „ზემშინა“ და „რუსკოე ზნამია“.

ჩვენ უფლებას ვიტოვებთ ყოველ ფეხის გადადგმაზე საბუთი მოვთხოვით ბ. ახელს და კიდევ ერთხელ ხაზგასმით მოვხსენოთ, რომ მას ჩვენი გამოცემისთვის თვალყური არ უდევნებია, თორემ კი ეცოდინება, რომ საერო გაზეთებმა არა ერთხელ მოგვაქციეს თავის განთლებული ყურადღება. თვით ქება მიუწოთ-მელმა გომართელმაც არ დაგვტოვა უყურადღებოთ და თავის მეცნიერების სიმალლიდგან ერთხელ თუ ორჯერ გადმოგვცნა თავის მოწყალების და სიბრალულის თვალთ.

ბ. ახელი ყოველგვარ კამათს სპობს ჩვენთან პირველი სტატიის შესახებ. გვიკვირს, ჯერ რას თქვა, რომ დაწყებისათნავე სპობს კამათს? ეტყობა სათქმელი არაფერი აქვს და ნება-უნებლიეთ ჯერ იმას სჯერდება, რაც არაფერი თქმულა.... ვნახოთ რას იტყვის შემდეგ!

რედ.



წაღმა-უკუღმა.

გაგრძელება¹⁾

იორდანეს ჯამაგირი თვეში ათ თუნამდე აღიოდა და ეს ფული ყოველთვის ნაღდაც რჩებოდა. ის თითქმის არაფერს ხარჯავდა: საქმელ-სასმელი სულ უბრალო უყვარდა და ასეთ საზარდას, ჯამაგირს ზევით აძლევდა მადლიერი ანა ერთგულ ნოქარს; ტანისამოსად და წვრილ-წვრილ სახარჯოდ სადღესასწაულო საჩუქრები ჰყოფნიდა და სხვა ხარჯი არაფერი მოსდიოდა. მართალია, გაქვირებულ კაცს ის ფულს არ უკავებდა, მაგრამ არც აქიდან ეკარგებოდა თავნი და სარგებელს ხომ თვითონაც არ თხოულობდა. კარგ შემწეობას აძლევდა აგრეთვე ნათესაებ—სახლი-კაცებს, მხოლოდ ეს კი იყო, საქარაფშუტო—საქვიფოდ ფულს არავის აძლევდა და ასეთს პირებს არც ნამდვილ გაქვირებრს დროს უმართავდა ხელს. „ვისაც გაქვირება-დაღბინება არ გააჩნია, დაუღბინდება კარში ვერ შამოეტყვა და გაუქირდება

¹⁾ იხ. ზინ. საქ. № 25.

ნემსის ყურწში გაძვრება; ვისაც თავისი მდგომარეობა აწონილ-დაწონილი არა აქვს, იშონის გადაყლაპავს, შემოვლევთ თხოვისაც არ შერცხვება და ვისაც საქმიანობით უფრო ცალია, ვინემ კეთილი საქმისათვის, იმასთან არაფერი ძმობა და ამხანაგობა არ მინდაო“, მტკიცედ ამბობდა ის თავისთვის.

უმთავრესი ყურადღება იორდანესი მიწისკენ იყო მიქცეული. „იმისთანა ღმერთს არაფერი გოჴუნია, — იტყოდა ხოლმე ის; — ვაჭრობა დროებითია, სხვა სამსახურიც აგრეთვე და ოჯახს არაფელი ჯობია, ვისაც საკმაო მიწა აქვს, ის უსათუოდ მეოჯახე უნდა იყოს, ცოტ-ცოტა შემოსავალი თავის შრომით უნდა შემოიყვანოს, არც არავის უნდა ებატონოს და არც არავინ უნდა იბატონოს, იმუშაოს და პირნათლად იყოს ქვეყანაზეო“. ამიტომ მიწის ყიდვას მეტის-მეტე ყურადღება მიაქცია და ამისათვის კიდევ დიდ-ძალ ფულს უგზავნიდა მამას. მან კიდევ საკმაო მიწა შეიძინა თავის სამშობლო სოფელში, ამავე დროს ახალი სახლ-კარობაც გაიჩინა და ჩინებულადაც დაესახლა. „ვინ იცის რა დრო მომელის; ერთი დრო არავის შერჩენია; — თუ სხვანაირათ გადაბრუნდა საქმე, ოჯახი მექნება, წავალ და ვი-ცხოვრებ, ჩემთვის... ვის რათ უკვირს, რომ ასეთი მომპირნეობით ვცდილობ. ერთი საწყალი გლეხის შვილი ვარ, ნატავლი არ ვარ და მემამულე, რომ ერთში დამიბრკოლდეს საქმე და მეორეს დევიწყო; ან რა ჩემი საქმეა დიდ-კაცებთან დაახლოვება? შეიძლება ახლა აქა-იქ მიმიღონ, მარა თუ გადატაკდი, ცხვირის წინ კარს მომახურავენ, სახში არავინ შემოშობს... თუ ღმერთმან შვილი მომცა და ისტავლა ის ბეერიოს კაი საზოგადოებაში და მე არავინ უნდა დამიძახოს: — ყვავი ფარშავანგებში გარევიო, — მფიქრობდა იორდანე და მტკიცედ აღემა ამ გადაწყვეტილებაზე. როცა იორდანემ სახლ-კარობა გამოიწყო და მიწის ყიდვითაც გული შეიჯერა, ცოტ-ცოტა ფულსაც დაუწყო მოგროვება და არ გასულა დიდი ხანი, რომ ქუთაისში კარგი შენობა შეიძინა, საიდანაც გვარძან შემოსავალსაც იღებდა. 30 წლის იქნებოდა იორდანე, როცა ის კარგა ძალი მამუ-

ლის პატრონი გახდა და აწი ცოლის შერთვაზე დაიწყო ზრუნვა. ქუთაისშიაც ბევრი ეძლეოდა მას საცოლო, ზოგი მზითვიანები, ზოგი მარტო ლამაზე და ზოგი ნასწავლებიც კი, მაგრამ ქალაქელი ქალის შერთვას მის ყურს ვერავინ გაავრთებდა. „აბა რა კაცის გულმა უნდა შეითმინოს ამათი გრეხვა და პრანქვა; მაცოთური მე შორიდან მძულს, თვარა გვერდში რავე ამევიყენებ? ღმერთმა ერთ აღამიანში ერთი სული ჩაბერა და ერთი გული ჩადო და აბა ვინ იცის ამათ რამდენი სული და გული აბარიათ. ღმერთს ბატონისაგან გოუთავისუფლებივარ და ჩემი ხელით, რა გვეიჩინო დამლუპველი ბატონი, ახი იქნება, ჩემი საქმე უკულმა დატრიალდეს. სოფლის დარბის გლეხის შვილმა, აქოური პრანქია ქალი, რომ შევიერთო, მე მკითხე შენ და წიწილს გამიზღის, ან სადილ-ვაშაშამს გამიკეთებს! სოფელშიც არ გამიჩერდება, აქ დეიწყებს პრანქუნს, მე უნდა ვსდიო მას კულში და ძველი და ახალი ნაშოვარი სულ იმას უნდა შევავაქმო... ღმერთმა დამიფაროს ასეთი უბედურობისაგან; მე ცხოვრებაში მეოჯახობას ვაპირებ და ცოლიც ამხანაგათ უნდა გამომადგეს, სიღარიბე შეითმინოს და სიმდიდრე შეიშვენოსო“, ფიქრობდა იორდანე და სწორედ ეს იყო მისი ნამდელი მიზანიც.

ერთ სადღგომოდ იორდანემ ოცი დღის თავისუფლება აიღო, იყიდა, რაც ექარვებოდა ოჯახისთვის, შემოიკრა დაქირავებულ ცხენზე, იახლა ცხენის პატრონიც და გამოსწია საღამოს ჟამს თავის სოფლისკენ. გზაში, მშვენიერ საღამოს, ის ერთადერთი მიეცა საკუთარ ოცნებას. მას ახარებდა მისი მდგომარეობა, ახარებდა, რომ მის სენილის არასფერი სტანჯავდა, არავისთვის სიავე არ მიუძლოდა და რაც ჰქონდა, ყველაფერი მისი შრომის წყალობა იყო და არავითარს შფოთსა და ხათაბალაში გაბმული არ იყო. „მართალია, — ფიქრობდა ის, — ზოგი კინტლა და უზნეო ბიჭებს არ მოვწონვარ და ზიზღითაც მიყურებენ, მარა ვე არაფერია, მათთან დაახლოვება სამარცხვინოა და მათი ქება საზიზღარია; მე კაცურ-კაცებთან მჭირია დაკავშირება, თვარა მაწანწალებისაგან ვის რა ხერი დაყრია, რომ მე დამეყაროს. აბა, დიდ ხერს არ ვნახავდი, რომ

მათ რჩევას ავყოლოდი? ვაი-უბედურობით ნა-
შოენი პადლებში და უზნეო ქალებთან უნდა
წამევო; ან სად მექნებოდა ქონება, მამული,
კაბეიკი — ფული, ან ის პატივისცემა, რაც ახ-
ლა მაქვს? ესეც არ იყოს, მწარე შრომით მო-
ნაგები ფულით უნდა მეყიდა ასნაირი სნეუ-
ლობა და მწუხარება, რაც ლოთობას და გა-
ფუჭებულ ქალებთან დაახლოვებას აუცილებ-
ლად მოსდევს!... ოხ, ოხ-ოხ! რა სულელობით
საყვია ქვეყნიერობა! კაცმა დილიდამ საღამომ-
დე და ხშირათ ღამეც იმუშავო, ეწამო და
ეტანჯვო; ამ ნაირათ მოკვებული ფულით სამე-
ძაო სახლიდან საძაგელი სნეულობა იყიდო;
ძველი მოგებული, თუ რამე გაგაჩნია, ექიმო-
ბაში ხარჯო, ხშირათ ტანისამოსიც გაყიდო,
მშობლები და ნათესავები შეაწუხო, ქვეყნის
სამასხროთ საზიზღრათ და მისარიდებლათ გახ-
დე!... ამაზე მეტი ჭკუის დამცილება კიდევ
იქნება? ვმადლობ ჩემს ანგელოზებს, რომ ამ
უბედურობისაგან დამაფარეს. ვინც ღმერთს
მიენდობა და მის ბრძანებას ასრულებს, მას
არც არაფერი დაუშავდება და ვაი იმის ბრა-
ლი, ვინც ეშმაკს მიენდობა და იმის რჩევით
დღეიარება, დღეს ჰგონია, კარქათ არის, ხვალ
ისეთ მახეში ჩავარდება, რომ სული და ხორ-
ცი ერთიანათ წაავოს... ოხ, რა მძიმეა უსირ-
ცხვო ადამიანი! რა დიდი დანაშაულია, რომ
იტყვის კაცი: — მარტო მე არ ვარ მაგალითი,
ჩემამდლისაც ბევრს დამართნია და ჩემს შემდე-
გაც ბევრს დაემართებო; — ეს საძაგელი თავის
მართლებათა, უსენიდიო შემსუბუქებაა სვინი
დისის ქენჯნისა, მაგრამ ამის მეტი აბა რა ეთ-
ქმის იმ ადამიანებს, რომელნიც ავს სიხარუ-
ლით ეგებებიან და არ ფიქრობენ, რომ ავის-
გან მხოლოდ ავი გამოდის, ისიც უფრო გა-
დიდებული და ხანდის ხან ზომაზე მეტიც“...

(შემდეგი იქნება).

კ. წუთისოფელი.



კვირიდამ კვირგაამდე.

ქუთაისის გუბერნიის მარშალმა თ. ს. წერე-
თელმა მოხსენება გაუგზავნა ვაქკასიის ნამესტ-
ნიკს, რომელშიდაც ამტკიცებს, რომ ბიჭვინტის
ლეთისმშობლის ხატი, რომელიც თვით კათა-
ლიკოსისაგან არის გადმოსვენებული გელათს,
უკვე ამ უკანასკნელის საკუთრებას შეადგენს

და მისი უკან დაბრუნება არ არის სასურველი
და არც სასარგებლო, რადგან იმერლებს ამით
სარწმუნოება შეებღალებათ, ხოლო აფხაზებს,
რომლებსაც არც კი ახსოვთ ამ ხატის არსე-
ბობა, არაფერს შემატებს ამ მხრით. თუ
ამოდენა ხნის გადმოსვენებული ხატის უკან
დაბრუნება კი შეიძლება; მაშინ, რაც რუსეთში
ვენი სიწმიდე და განძეულებაა გატანილი, ყვე-
ლა უკან უნდა დაგვიბრუნდესო, რომ
რაიმე უსიამოვნება არ შედგეს, სჯობია ხატი
ისევ გელათში დარჩესო.

ხმა გავრცელდა, ვითომ თითოეულ
მღვდელს 1200 მანეთი ენიშნება წლიური
ჯამაგირიო. რამდენადაც ვიცით, ეს ჯერ
მხოლოდ კიევის მიტროპოლიტის მ. ფლაბია-
ნეს piadesideria არის. ასე რომ ამ იმედით
სუფრის გაშლას არავის ვუოჩნევთ. ჯამაგირით
მღვდელს ისევ ხალხი უზრუნველჰყოფს, თუ
ეს უკანასკნელი მისი ნამდვილი მამა იქნება
და წინამძღოლი, თუ იგი რაიმე შესამჩნევ
კვალს დააჩენს მის ზნეობრივ-სარწმუნოებრივ
ფიზიონომიას.

საეპარქიოსაბქოს, როგორც გავიგეთ ტე-
ლეგრაფით შუამდგომლობა აღუძრავს უწმიდესი
სინოდის წინაშე, ნება დართოს, რომ საუკეთესო
მასწავლებლებს უფლებების მოპოვებისათვის ერ-
თი წლის ვადა მიეცეს. ამ შუამდგომლობაზე
სინოდს უარი უთქვამს.

ახალი ჯამაგირი თურმე ყველა სამრევლო
სკოლებს არ ენიშნება. ეხლავე. საბჭოს გან-
საზღვრული თანხა მოსვლია რამოდენიმე შკო-
ლისათვის, ხოლო რომელ სკოლას დაუნეშ-
ნავს ახალ ჯამაგირს, ეს მისი საქმეა.

ამ უკანასკნელ დროს სოფლებში აფაზა-
კობა გავრცელდა. ზოგი ამ გარემოებას სი-
ღარიბეს მიაწერს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამის
მიზეზი სარწმუნოების და ზნეობის დაცემა
ხალხში, და სანამ ეს ფაქტორები ხელახლა
არ დაიქრენ შესაფერ ადვილს ხალხის ცხოვ-
რებაში, მანამდის ძარცვა-გლეჯა არ მოისპობა.

ამბობენ შემდეგისთვის სამღვდილო კან-
დიდატსს სამასწავლებლო უფლების მოწმობას
მოსთხოვენო.



სახალხო უნივერსიტეტი.

კვირას, 17 ოქტომბერს, ქუთაისის
ქალაქის თეატრში სახალხო უნივერსიტე-
ტის გამგეობის მიერ დანიშნული იქნა
ქართულ ენაზედ ორი ლექცია. წაიკით-
ხეს ბ. დ. უზნაძემ: „ისტორია, როგორც
მეცნიერება, მისი საგანი, მიზანი და გან-
ვითარება!“, და ბ. კიტა აბაშიძემ: „მგოსანი
გრ. ორბელიანი!“. მართალი უნდა მო-
გახსენოთ ამ დღეს ხსენებული „ლექტო-
რები გვარიანათ იყვნენ მომზადებული თა-
ვიანთ ნაკისრ საგნებში... ლექციას ხალხი
საკმარისათ დაესწრო, თეატრში წეს-რიგი
როგორც სუყოველთვის არ სუფევდა,
განმარტოებით ბალკონზედ.

საზოგადოთ, ძლიერ ცუდ შთაბეჭდი-
ლებას ახტენს დამსწრე საზოგადოებაზედ
ის, რომ ჩვენმა „ლექტორებმა“ ვერ შე-
ითვისეს ხალხისათვის ნამდვილი საჭიროე-
ბა; მაგალითად არა ერთხელ და ორხელ
დავესწართ ქართულ ლექციებს და თუ
სინდისის ქვეშ ვიტყვით ვერაფერი ვერ
მივითვისეთ და გავიგეთ! ამის უმთავრესი
მიზეზია ის, რომ ყოველივე მათ („ლექ-
ტორთა“) მიერ დასაბუთებას ამახინჯებს
არა მდაბიური სიტყვები... ჩვენ დიდათ
მოხარული ვიყავით, თუ სახალხო უნი-
ვერსიტეტი არ იქნებოდა მარტო სიტ-
ყვით, მაგრამ **სამწუხაროთ ეხლა კი**
წინააღმდეგ ვხედავთ.

„ვინც კი შეუდგა ლექციების კი-
თხვას ყველამ მიზნათ დაისახა ბევრი წაე-
კითხათ, და „ლაპაზათ“ (?). აქ ჩვენ სრულე-
ბით ვერ ვხედავთ ისეთ დაინტერესებულთ
რომელთაც მიზნათ დასახული ქონდეთ
თავიანთ მიერ წარმოთქმული სიტყვების
გარკვეულათ ვადიციემა—ხალხისადმი! ასე

წარმოიდგინეთ, რომ ჩვენი ლიტერატუ-
რული ენა დღეს-დღეობით მეტათ შეკაზ-
მულია უცხო-სიტყვათა ლექსიკონით და
თუ მსმენელმა ლათინური, ბერძნული და
ფრანგული ენები კარგათ არ იცის ვერც
გაიგებთ რასმეს. რასაკვირველია, ამ ენე-
ბის მცოდნეთ, ხომ ჩვენებური ლექცია
არ დასჭირდებოდა“.

სწორებ სასურველია ბ.ბ. „ლექტო-
რები“ არ მიმართავდენ ჰარმონიას და მა-
შინ კიდევ შეიძლება ითქვას, რომ იგენი
სახალხო უნივერსიტეტის „ლექტორნი-“ა
და არა მარტო ინტელიგენციისა თუ არი-
სტოკრატისა.

დათიკო ლოლობერიძე.

P. S. მადლობის ღირსნი არიან, ამის
მხრით ბ.ბ. ა. წერეთელი, კ. აბაშიძე და
აღ. გარსევანიშვილი, კარგი იქნებოდა
დანარჩენებიც ამათ წაბაძავდნენ და თავი-
ანთ შრომას უნაყოფოთ არ ჩაატარებდნენ.

ქუთაისი 1910 წ.



იგივე.

წერილი ჩედაძეის მიმართ.

მამათ რედაქტორთ! უმთრიალესად გთხოვ,
ამ მცირე წერილს დაუთმოსთმე. ადვილი თქვენს
პატივცემულ გაზეთ. „შინაურ საქმეებს“- 27
№-ში არის მთავარსაქმელი მიშლითგრაფია შე-
სასებ ჩემ მიერ შედგენილ—გამოცემულ ასალი
აღთქმის საღვთო ისტორიისა. მე მადლობას,
წმინტაჲ პატივცემულ მიშლითგრაფს „სასულაი-
რთ“-ს, რომ მას მიუქცევია ყურადღება სსენე-
ბულ წიგნისათვის, მაგრამ უფრო დიდი მად-
ლობის ღირსი იქმნებოდა იგი, რომ ჯერ წაე-
კითხას სრულიად ჩემი წიგნი და მერე დაკვირვ-
ებით აღუნუსსა რთვარც ღირსება, ისე წიგნის
ნაკულუკანება, რომელსაც სსენებული წიგნი
არ იქმნება მთ ლეზული, რთვარც მე თვითონ
ვადვიარებ წინასაღყვავთაში. რთვარც სჩანს,
მ. მიშლითგრაფს წაუკითხავს თავიდან მსა-
ლოდ ერთი, თუ ორი ფურცელი და ამათ
გაუთავაშობს თავის შრთმა. ამას მისთვის ვადი-

რომ (და ჩემი აზრით ასეც უნდა იყოს), რომ პირველ პარაგრაფში მაცხადებს ნასმარნი: „იუდეულთ შორის ცხოვრობდა...“ სიტყვა „იუდელები“ არ მთხოვნს პაციფიკურ მიზნობრივ და ამბობს, რომ ეს სიტყვა და მისი მსგავსი სიტყვები: „იუდეია, იუდელო ქვეყანა“ ქართულ სასკოლმძღვანელოებში შემთავინდნენ რუსულ სასკოლმძღვანელოების გავლენით, და გვირჩევს, რომ მათ მაგიერ ვისმართო სიტყვები: „ურია და ურიასტანი“. ამასვე უნდა მოვასწავლო პაციფიკურ მიზნობრივად, რომ, როგორც თვითონაც უცხადებდა, მკვლევარში ურიაში განიკეთებდნენ თრ ნაწილად: იუდეულად და ისრაელურად. იუდეულები წარმოსდგებოდნენ იუდას ცომისაგან და შეადგენდნენ ერთ საშუალო ითავიძე წარმოსდგებულ იუდას ცომისაგან და ცხოვრობდა იუდელები შორის. ამ აზრით მაცხადებს ნასმარნი, რომ ითავიძე და შინა ცხოვრობდნენ იუდეულთ შორის. სოლო სადაც საჭირო იყო მესმარა სიტყვა: „ურია, ურიასტა“, ნასმარნი მაცხადებს და რომ სრულიად წაუკითხა შ. მიზნობრივად ჩემი წიგნი მეგრ ადგილას შესვლილ სიტყვებში: „ურია, ურიაში, ურიასტა“ და არა იუდეულში. მაგალითისათვის ის. გვარდი: 23, 35, 36, 44, 57, 58, 66, 68, 72, 79, 121 და სს. ყველაგან სიტყვა: „ურია“ არის ნასმარნი. აგრეთვე მაცხადებს ნასმარნი „ურიასტანი“ და რომ წაუკითხა სსსრული წიგნი, შესვლილად ამ სიტყვას ის. გვარ. 5, 20, 25, 27, 89 და სს. აგრეთვე ცხადდენ დანიასავე, რომ შუ მაცხადებს ნასმარნი სიტყვა „შესაკრებელი“. ის გვ. 44, 52, 75 და სს. მართალია, სიტყვას „თორა“ ვსმართომ და საჭიროდ არის მისი სმარება, ამიტომ რომ სიტყვა თორა არის განმარტება სიტყვის „შესაკრებელი“. შესაკრებელი ბედმესრული სასულია, თორა არსებითი სასულია. შესაკრებელი არის ის სასული, ანუ ადგილი სადაც იურიშიან, მაგრამ მიზანი მეგრებისა სხვა და სხვა შესაკრებულში სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა არის და არა ყოველთვის ლტყვა, სოლო თორა იგივე შესაკრებულს აღნიშნავს, სადაც ურიაში სალოცვად იურიშიან, ამიტომ შუ საუბრებში მიმარნი, ვისმართო თორა — შესაკრებულს მაგიერ სოლო შუ ჩემ წიგნიში მისთვის ვისმარე ზოგან სიტყვა: შესაკრებელი, რომ მაგნი, როცა მას ეს სიტყვა სასარებაში შესვლია, იტლეს თურას ნიშნავს სასარებაში სიტყვა შესაკრებელი. რადგან შესება სიტყვას: „სინაგოგა“ შუ ეს სიტყვა არაღეს არ მისმარია არც ამ წიგნიში

და არც სხვა ჩემ მიერ შედგენილ გამოცემულ წიგნებში, რადგანაც სიტყვა სინაგოგა რუსულია და ჩემი წიგნები ქართულია.

მოწამეთის მონასტრის წინამძღვარი,
არხიმანდრიტი ნესტორ.

12 ოქტომბერი 1910-სა წელს.

მ. მოწამეთს.



რედაქტორი, მღვდელი სიმონ მჭედლიძე
გამომცემელი იოსებ ლევაია.

განცხადებანი კამოხალებ

სამღებდელი და სადიაკვნო

საგნეუში,
აგრეთვე

ს ა მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ლ ო
ეგზამენის ასალებად.

ადრესი: ქუთაისი, ვაზაყვის ქუჩა, № 17.

„შინ. საქმეების“ რედაქციაში იყილება:

კლიროვის უწყებები ახალი ფორმისა და ყველა უწყებები (Вѣдомости) წლიური საბლალოჩინო ანგარიშისათვის ბლანკები ძმობის გამოცემა და ფულიც მას ეკუთვნის. ფასი ბლანკებისა წყვილი 5 კ. ვინც ორასზე მეტს დაიბარებს — წყვილი 4 კ. ხვედრი ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით:

Кутаисъ Правленіе религиозно-просвѣ-
тительнаго братства.
Ольденбургская д. № 5